



შეთანხმებულია:

სს «RMG Group» საწარმოო
პროექტების მართვის დირექტორი


ა.ნემოკაევ
«11» 01 2024 წ.

დამტკიცებულია:

სს «RMG Group»
აღმასრულებელი დირექტორი


ჯ. შუბითიძე
«___» _____ 2024 წ.

ტექნიკური დავალება

«კვლევა გამდიდრების ტექნოლოგიაზე მოცირკულირე წყლის შემცველობის ზემოქმედება
მადნეულის გ/ფაბრიკის კუდების მშრალი დასაწყობების დანერგვისას»

დამკვეთი: სს «RMG Copper»

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: მოცირკულირე წყლის ზემოქმედების და შემცველობის ცვლილების განსაზღვრა მადნეულის გ/ფაბრიკაზე მიმდინარე გადამუშავების სპილენძის მადნების ფლოტაციური გამდიდრების პროცესზე წყლის დახურულ ცირკულაციის სქემაზე გადასვლასთან დაკავშირებით (შესქელება-ფილტრაციის დანერგვა გ/ფაბრიკის კუდებზე)

საწყისი მონაცემები/ნიმუშები კვლევისთვის:

- მიმდინარე გადამუშავების დაფქვული მადნის სინჯი მასით - განსაზღვრული ტენდერში მონაწილის მიერ;
- გ/ფაბრიკის ცირკულირებული წყლის სინჯი, მოცულობით - განსაზღვრული ტენდერში მონაწილის მიერ;
- ფაბრიკაში გამოყენებული რეაგენტების ნიმუშების რაოდენობა - განსაზღვრული ტენდერში მონაწილის მიერ;
- გ/ფაბრიკაში მადნის გამდიდრების სქემა და ფაბრიკის რეაგენტული რეჟიმი, აგრეთვე ფაბრიკაში მადნის ფლოტაციის მაჩვენებლები (კვლევითი სამუშაოებისთვის მიწოდებული მადნის მსგავსი)

შესასრულებელი სამუშაოები:

- მადნის სინჯის მომზადება კვლევისთვის და მადნის ნივთიერებითი შემცველობის მოკლე შესწავლა (მადნის ქიმიური ანალიზი, ფაზური ქიმიური ანალიზი ტყვიისა და თუთიის ფორმების განსაზღვრა, წყლის ექსტრაქტის ქიმიური ანალიზი);

- მადნის ფლოტაციური გამდიდრების ტესტირების ჩატარება ქარხნის მოცირკულირე წყალზე დახურულ ციკლში (ბრუნების რაოდენობას განსაზღვრავს ტენდერის მონაწილე) ფლოტაციური ნარჩენების ფილტრაციით და კონცენტრაციით წყლის დაბრუნებით ფლოტაციის პროცესში მომდევნო ცირკულაციისთვის. ტესტირების ჩატარებისას კონტროლდება წყლის შემადგენლობა და მონიტორინგდება ფლოტაციის მაჩვენებლების ცვლილებები ცირკულაციის მიხედვით;

- კვლევის ანგარიშის შედგენა რეკომენდაციებით მოცირკულირე წყლის შემადგენლობის სავარაუდო ცვლილების შესახებ ფაბრიკის მშრალ კუდების შენახვის ტექნოლოგიაზე გადასვლისას და მის გავლენას გამდიდრების ეფექტურობაზე.


ტენდერის მონაწილეს შეუძლია შესთავაზოს სამუშაოს სხვა შემადგენლობა, რომელიც შეესაბამება სამუშაოს მიზნებსა და ამოცანებს.

დამატებითი მოთხოვნები:

ტენდერის მონაწილე აწვდის ინფორმაციას მსგავსი სამუშაოს განხორციელების გამოცდილების შესახებ.

დანართი: 1. მადნეულის გ/ფ ტექნოლოგიური სქემა

RMG-ის მთავარი გამამდიდრებელი


ანდრეი კაბარდინ